საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-385

06/05/2019

ქ. თბილისი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში ფ/პ თამთა ლომიას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ თამთა ლომიას მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია, სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს ქ. ზუგდიდში, სოფ. ცაიშში, ფ/პ თამთა ლომიას საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ : 43.20.42.170; 43.20.42.254) სასათბურე მეურნეობა მოწყობილია 2800 $მ^2$–ზე.

პროექტი ითვალისწინებს სასათბურე მეურნეობის წყალმომარაგების მიზნით მდ. ჯუმიდან წყლის აღებას და მცირე ზომის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობას. წყალაღების წერტილის კოორდინატებია: X-730756; Y-4700858. წყალაღების წერტილიდან სასათბურე მეურნეობა დაშორებულია 175 მ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, 175 მეტრი და 40 მმ დიამეტრის მქონე პოლიეთილენის მილების განთავსება მოხდება სანიაღვრე არხის გაყოლებაზე, მილებისთვის გამოყენებული იქნება სანიაღვრე არხის ტრანშეა და ახალი თხრილის გაჭრა საჭირო არ არის. წყლის მდინარიდან ამოღების მიზნით გათვალისწინებულია 1 ცალი 1,5 $მ^3$/სთ წარმადობის ტუმბო. მდ. ჯუმიდან აღებული წყალი, მიეწოდება 2ტ. ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა.

სასათბურე მეურნეობა წელიწადში მოიხმარს 360 $მ^3$ ზედაპირულ წყალს.

სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობის ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი პუნქტი, დაცილებულია დაახლოებით 40 მეტრით.

ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს - წყლის ტუმბოს სიმძლავრის და მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით, ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე საჭირო არ არის თხრილის გაჭრა, რადგან მილებისთვის გამოყენებული იქნება სანიაღვრე არხის ტრანშეა, შესაბამისად

ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის განხორციელებისას, როგორც მოწყობის აგრეთვე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის შედეგად ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკები არ არსებობს.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება.

საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება დაცული ტერიტორია.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფელ ცაიშში, ფ/პ თამთა ლომიას სასათბურე მეურნეობისათვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტი **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ თამთა ლომია ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ თამთა ლომიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ თამთა ლომიას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი